№ 182
პარასკევი, 25 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 182
პარასკევი, 25 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენე ი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 30 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

**სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი** ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

**სასწავლებელი და პანსიონი**

**ქ-ნ ტერ-ოსიფოვისა.**

სოლოლაკი, ბაღის ქუჩა, № 46, (სერგიევის ქ. შესახვევში).

მიღება ყმაწვილებისა (ორივე სქესისა) დაიწყება 22 აგვისტოს, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვეს.

(6—1779—3).

**ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის ახალ თეატრს ამ ჟამად ბევრი მუშა ადგია. სცენის მორთვა თითქმის დაუმთავრებია მოსკოვის დეკორატორ-მეხანიკს ბ. ვალცს. თეატრი უსათუოდ მზათ უნდა იყოს შემდეგ ზამთრის სეზონისათვის.

*** გუშინ-წინ, 22 აგვისტოს, ალექსანდრეს ბაღში რაღაზედაც ლაპარაკი მოუვიდათ ერთს რუსსა და მათხოვარს; უკანასკნელმა რუსს თავში ისე ძლიერად დასცხო მსხვილი ჯოხი, რომ იქვე სული გააფრთხობინა. დამნაშავეც შეიპყრეს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის თანაშემწე წავიდა დუშეთში პაპალოის ქალის მოტაცების გამო გამოძიებაზედ დასასწრებლად.

*** სიძვირისა გამო ტფილისსა და კოჯორს შუა ტელეფონი ვერ გავრცელდა. წელს მხოლოდ ერთს მეაგარაკესა ჰქონდა ტელეფონი, ამიტომ ფოსტის მთავრობას განუზრახავს ითხოვოს, რათა ტფილისსა და კოჯორს შუა ტელეფონის ფასი დაკლებულ იქმნას.

*** როგორც გაზეთებიდამ გვესმის, ყაჩაღი ქერიმა, რომელსაც რამდენისამე წლის წინად მთელი რაზმები ჯარისა დასდევდა, ეხლა კვლავ გადმოსულა სპარსეთის საზღვარიდგან და შესდგომია წინანდელს ხელობას.

*** რედაქციაში მოვიდა ტფილისში მცხოვრები რუხაძე, რომელმაც შემდეგი ამბავი მოგვითხრო: „მე ყარსის გზაზედ სამუშაოთ წაველი და ჩემი პატარა 13 წლის ქალი ერთ პატიოსან ოჯახს მივაბარე ტფილისში. ამ ოჯახში ვიღაც ავად გამხდარიყო და ჩემი ქალი ექიმის მოსაყვანად გაეგზავნათ—ის იყო და ის ქალი შინ აღარ დაბრუნებულა. მაცნობეს თუ არა ეს ამბავი, ჩამოვიჭერ ქალაქში. ამასობაში ჩემი ნათესავებიც დატრიალდნენ და ქალი მოსძებნეს ვიღაც ფ—ძეს სახლში. როგორღაც ბოროტ-განზრახვით შეეტყუებიათ ჩემი ქალი ამ ფ—ძის ცოლთან, რომელიც მოალერსებია ძალიან, დაულევინებია დასაძინებელი წამალი და... ნამუს-ახდილი ქალი—როგორც იქმნა, პოლიციის საშუალებით გამოვიყვანეთ ამ სახლიდგან... ამ საქმეზედ ოქმი შემდგარია და მალე გამომძიებელს გადაეცემა“.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბარონის ქუჩაზედ თამამშევის სახლებ წინ, რომელშიაც ერთი ურიის ოჯახობა თურმე სცხოვრობს, ეს სამი კვირაა, საღამობით მუდამ თავს იყრის სამი ყმაწვილი და ვინ იცის, რა და რა საძაგელის სიტყვებით არ იხსენიებენ ამ ოჯახის გასათხოვარ ქალებს. ესეც უთუოდ ახალ გვარი მიჯნურობა უნდა იყოს, რომელიც შოთა რუსთველს დავიწყებია მოეხსენა ვეფხვის ტყაოსანში.

*** „ჩერნომ. ვესტნ.“-ის სიტყვით, პროფესორს ოსტროუმოვს განუზრახავს დააარსოს სოხუმში საზამთრო სადგური გულით ავადმყოფთათვის.

*** დღეს, 25 აგვისტოს, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი პეტერბურგიდგან გამოვიდა.

*** ბარის-ოსეთი: 16 ამ თვეს ღამე და 18—19 რიცხვებში დიდი წვიმები იყო. კავკასიონის მთები ჩამოთოვლა, რის გამოც შესამჩნევად აცივდა. ბარის ოსებში წელს დიდს სიმინდის მოსავალს მოელიან, მაგრამ გვეშინიან სიცივემ არ გაგვიფუჭოს.

*** სოფ. ზაყა, (თერგის მხარე): წელს ზაყაში და მისს ახლო-მახლო სხვა სოფლებში კარგს მოსავალს მოელოდნენ ქერისას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა წელსაც უმტყუნათ აქაურ მთის მცხოვრებთ. ამ თვის 19 მთები ჩამოთოვლა და რადგანაც ქერები ჯერ მოუსვლელი იყო, ამიტომ დაზრა.

*** ს. ჯურუყვეთიდგან (გურია) გვწერენ, რომ „ივერიის“ კორესპონდენციას ჩვენი სოფლის უგზოობის შესახებ, ყურადღება მიაქცია, ვისიც ჯერ-არს, და გზა თითქმის დათავებული გვქონდა, რომ ერთმა ვაჟბატონმა მთლად შეგვიშალა ხელი და სოფელი ისევ უგზო დასტოვა.

*** ს. ხაჯალია (გურია): წარსულს წელს სიმინდი ბლომად მოგვივიდა, ჩალის ფასად გავყიდეთ და წელს-კი მოუსავლობისა გამო იძულებულნი ვართ ჩვენგანვე ორ-შაურად გაყიდული ფუთი სიმინდი ოთხაბაზად ვიყიდოთ ჩარჩებისაგან. შეძლება რომ გვქონოდა, შარშან როდი გავყიდდით ასე უფასოდ სიმინდს?“

*** ს. სალუგარდანი (თერგის მხარე): ყაჩაღებმა ოცი ცხენი მოიტაცეს; მოკლეს მეჯინიბე. დამნაშავეთ თავგამოდებით ეძებენ.

*** ს. უდე (ახალციხის მხარე): წელს მოსავალი ძალიან ცოტა მოგვივიდა, სარჩო ზამთრის პირამდისაცკი არ შეგვყვება. კართოფილს აგერ სამი წელიწადია რაღაც ჭირი გაუჩნდა, ძირს არ იკეთებს, ყვითლდება და ხმება.

ეს სამი თვეა ჩვენსასა და ახლო-მა-

## ფელეტონი

—

### პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

(შემდეგი*)

### XI

იგინივე და ალმა.

ალმა. (სამზარეულოდგანვე ამბობს შეშინებულის ხმით) ახ, ნუ, თუ ღმერთი გწამთ, ნურას მიზამთ.

ხეინეკე. ჩქარა-მეთქი! (ალმა გამოდის, ზედ საუცხოო ინდოელთა ტანისამოსი აცვია და სირცხვილით პირზედ ხელებს იფარებს. ყველანი გარს ეხვევიან, სიცილს იმაგრებენ და გაოცებულნი არიან).

ავგუსტა. ინდოელთა ტანთსაცმელია?!.

მიხალსკი. პრინცის ასული გაუძარცვავთ ვინმე.

ალმა. მარტო გასინჯვა... მინდოდა... ეხლავე... გავიხდი...

დედა. (მაუალერსებს) ახ, ღმერთო, ანგელოზია სწორედ!

ალმა. მაშ აღარ მიწყრებით?

ხეინეკე. (ალერსით) მიწყრებითო? (გონზედ მოვა და მწყრალის კილოთი განაგრძობს) ესე იგი, სწორედ რომ ვსთქვათ, დიაღაც გიწყრებით, მაგრამ გვინდა ერთხელ კიდევ გიჩვენოთ ჩვენი გულკეთილობა. (დანარჩენო მიუბრუნდება) კარგად არა ვსთქვი?..

დედა. (ალმას თავზედ ხელს უსვამს და მარჯვნივ გადაიყვანს) აქ მოდი, დაჯექი. არა, აი აქა, აქ, სავარძელზედ.

ალმა. სავარძელზედ?!. რა ამბავი მოხდა?

ხეინეკე. ხე... ხე... (გარს შემოუსხდებიან).

ალმა. მაშ დღეს მასკარადშიაც შემიძლიან წავიდე?,

ხეინეკე. ჰო, ჰო, შეგიძლიან, შეგიძლიან.

ავგუსტა. (დაცინვით) საბრალო ბავში.

ხეინეკე. (წამოხტება) ჰო, დამავიწყდა, ეხლავე კანტორაში უნდა წავიდე.

მიხალსკი. (ბოთლს თავს ახდის) მოითმინე, ბედნიერება ცოტა უნდა დავნამოთ, რომ უფრო მკვიდრი იყოს. ალმა, ჭიქები მოიტანე.

დედა. (წამოხტება) დაანებე თავი საბრალო ბავშვს, დეე ცოტა დაისვენოს. მე მოგიტანთ ეხლავე (მივა შკაფთან და ლიკიორის აზონჩხილს ჭიქებს გამოიღებს). წელან რობერტისას რას ამბობდი?

ავგუსტა. აი, ჰნახავ.

დედა. რასა ჰნახავ, ამ საწყალს მოხუცებს ხელიდგან ბედნიერებას ხომ არ გამოგვაცლის-და?!.

მიხალსკი. (ჭიქას ასწევს და ჭმღერის):

„ასე ვცხოვრობთ,
„ასე ვცხოვრობთ,
„ასე ვცხოვრობთ ყოველს დღესა“.

დედა. ნელა, თუ ღმერთი გწამს. (იმ ოთახიდგან, სადაც რობერტი იმყოფება, ძირს დაცემულის სკამის რახუნი მოისმის).

მიხალსკი. მოწყალენო ხელმწიფენო, ალმა ხეინეკე, შვილი ჩვენი ბედნიერებისა, და ყოველთ უწინარეს ის სავაჭრო ამხანაგობა, რომელმაც ასეთი კეთილშობილება გამოიჩინა...

ხეინეკე. გაუმარჯოს მიულინგების სავაჭრო სახლს! ვაშა!

### XII

ისინივე და რობერტი (კარებში).

ყველანი. ვაშა!..

დედა. ის არის! (სიჩუმე ჩამოვარდება, ყველანი შეკრთალნი არიან და არ იციან, რა ჰქმნან).

მიხალსკი. (ურცხვად) გამარჯობა, ძამიავ.

რობერტი. ამიხსენი, დედაჩემო, ეს ხალხი რად შემოსხდომია ჩვენს პატიოსანს სუფრას?

მიხალსკი. ოჰო!

ხეინეკე. არც აგეთი უთავაზობა ვარგა.

დედა. (რობერტს მიუახლოვდება) შვილო, უკადრისობა როდია კარგი, მეტადრე ნათესავების წინაშე.

რობერტი. ჰმ, ალმა, ეგ რა ამბავია? ნება ვინ მოგცა?

ხეინეკე. ის ამბავია, რომ გვინდა ინდოეთი დაგავიწყოთ. ის მირჩევნია, ჩემი ფული ჩემს სამშობლოშივე, გერმანიაში, მოვიხმარო.

რობერტი. (გაოცებული) რა მოხდა აქა?

დედა. კაცო, შენა სთქვი, საბუთის ქაღალდი ხომ შენა გაქვს.

რობერტი. რა საბუთის ქაღალდი?

ხეინეკე (თავ-მომწონედ ჩამოჯდება და კილო-გაზვიადებით ამბობს) იცი, შვილო! ზოგიერთი ადამიანი გარეგნობის მიხედულობით არ უნდა განსაჯო. ზოგს გული შიგნითა აქვს. ამიტომ ყველას პატივს უნდა სცემდე; ამიტომ ძნელი გამოსაცნობია, უბრალო ტანთ-საცმელის ქვეშ რა იფარება. სიასამურსა და სინჯაფს ყველა ადვილად ატარებს.

რობერტი. ამიხსნი თუ არა, რა ვქნა.

ხეინეკე. აგიხსნა? რა არის აქ ასახსნელი... ნუ შემომცქერი აგრე. (ცოლს) რას შემომჩერებია თვალებში? მე ეხლა შემიძლიან ალვუკრძალო კიდეც.

დედა. კარგია, უთხარი.

ხეინეკე. ჰო... აკი ვსთქვი... აქ საკვირველი არა მომხდარა-რა... თვით ქარხნის პატრონი იყო აქა...

რობერტი. აქ იყო?.. მერე რატომ არ გამომაღვიძეთ?

ხეინეკე. ვეძო-და, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახალგაზდა არა ყოფილა. შენ შეგიძლიან შენი მეგობრები მიიღო სტუმრად, მოხუცი მიულინგიკი ჩემი მეგობარია. ჩვენ პირობაც დავდეთ, რომ შემდეგში ჩქარ-ჩქარა ვნახოთ ხოლმე ერთმანეთი. მეორეც იმიტომ რომ არაფრად მეპიტნავება ჩემის შვილისაგან ბრძნების კილოთი ლაპარაკის გაგონება. საკმარისია, გეყოფა. გაიგე თუ არა?

დედა. კარგია, ადამიანო...

ხეინეკე. ნუ მიშლით, როდესაც შვილს ვტუქსავ და ვარიგებ. ჩემთან ხუმრობის ნებას აღარავის მივცემ.

მიხალსკი. (უკანიდგან) ეგრეა, ეგრე. აი, ეგ-კი მომეწონა!

რობერტი. ალმას შესახებ არა უთქვამს-რა?

ხეინეკე. ჯერ შენ შესახებ სთქვა. შენის ცუდის ყოფა-ქცევის წყალობით სამსახურიდგან დათხოვნილი ხარ. მართალი რომ გითხრა, მე შენგან ასე არ მოველოდდი პატივისცემას.

რობერტი. შენა?

ხეინეკე. (მკვახე კილოთი) დიაღ, მე, შენი მოხუცი, პატივცემული მამა. არაფრად სასიამოვნოა, რომ ჩემი შვილი ქვეყანაზედ ნოქრად დაეთრეოდეს უადგილოდ. დღეს ოთხ საათამდე ანგარიში უნდა ჩააბარო, თორემ ცუდი საქმე მოგელის.

რობერტი. (გული მოუვა, ხანთე-

*) იხ. „ივერია“, № 174—81.

ხლო სოფლებს მუცელა და პირისლებინება დაერია. ბევრი იხოცება, როგორც დიდი ისე პატარა.

## კახაბრის, აჭარის, შუა-ხევის და ხულოს გათათრება.

(ნაამბობი სოფ. ზვარელ 80 წლის სელიმ ალა-იში-ოღლისაგან და მაჰმადიან თურმანიძისაგან).

მეორე დღის საღამოს შეშინებული დიდი მღვდელი და თავადი ხულოდგან სხვაგან გაიქცნენ და დაიმალნენ. ხალხი უპატრონოდ დარჩა და ამიტომ მათში დიდი შლილობა მოხდა. ოსმალთ ბევრი აღარ აცალეს და პირველ ბრძანებისათანავე დაუწყეს გათათრება და ფადი-შახის ბრძანების ასრულება, მაგრამ ეს ასრულება მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ; ზეგნელები ცხარედ იბრძოდნენ სჯულის გამო და თითქმის მთლად გაწყდნენ. ვინც დარჩნენ, იმათ პირობა მისცეს ასე:

— ოღონდ ჩვენ ნუ გაგვათათრებთ და მოგცემთ პირობას, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენს შვილებს-კი გავათათრებთო და ასე მოისპობა ერთ დროისთვის ქრისტიანობაო.

ოსმალთ ნება დართეს. ხალხი დარჩა თავისს სჯულზედ, ხოლო ვისაც შვილი მიეცემოდა, ის-კი ოსმალთა „სუნეთს“ უნდა მიეღო და გაეთათრებინა. მაშინ მოსიარულე «სუნეთები» აქ ბევრნი ყოფილან ოსმალოდგან მოსულნი. იმ დღიდგან პირობისამებრ ხალხს დაუწყია შვილების გათათრება და 10—15 წლის განმავლობაში უკვე გამოჩენილან პატარ-პატარა ქართველი თათრუკები. ერთ ზაფხულის დღეს, ქრისტიანთ ქართველებს ყანაში მკა ჰქონიათ. ერთ ხნიერ კაცს ერთ ახალ-მოზარდ ქართველ თათრისთვის უთხოვნია ასე:

— შვილო თათარო, წადი ერთი დოქი ცივი წყალი მოიტანე. ყმაწვილ ბიჭს ძლიერ სწყენია თათრად წოდება და ამას უთქვამს:

— მე თათარი რაში ვიქნები, თათარი-კი არ ვარ, ქრისტიანი ვარ, ქართველი. იქ მყოფთ მიუგიათ:

— რა ვქნათ, შვილო, მაგრე ხარ შენ გადანათლული და ჩვენ რა ვქნათ. ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ ძალამ გაგათათრა. ყმაწვილი ბიჭი ძლიერ გაგულისდა. გაგულისებული საჩქაროდ გაიქცა ყანიდგან, ერთი გოჭი დაიჭირა, ხელდა-ხელ დაკლა, გამოწვა, ხორცი შესწვა მწვადად, მალე ჭამა და თან უყვიროდა ხალხს:

— ეხლაც თათარი ვარო! ახლა მაინც არ დამეხსნებითო.

თათრობის პატივის-მცემელთ ქართველთ ჯავრი მოუვიდათ და ამათა სთხოვეს მას:

— დღეის შემდეგ აღარა ქნა შვილო ეგ, თორემ საქმე ცუდად წაგივა, ფადი-შახი შეგიტყობს და მაშინათვე თავს მოგკვეთენ ჯალათებიო.

ასევე დაურიგებიათ ყმაწვილი დედ-მამას. ყმაწვილს პირობა მიუცია.

— დღეის შემდეგ აღარ ვიზამ ასეთ საქმესა, დღეში ხუთჯერ თავაზს ვიზამ, ყოველს ვახტის ლოცვისთვის ჯამეში წავალ, წმინდა თათრობას დავიჭერ და ქრისტიანობასა და ქართველებს შევიჯავრებო. ასეთი ამბები ბევრი კიდევ სხვა მომხდარა მაშინ გათათრების გამო. მოხუცებული კაცი და დედაკაცები ხშირად მოგროვდებოდნენ ძველ ეკკლესიების გვერდით და მწარე ცრემლებით სტიროდნენ და ქვითინებდნენ ხოლმეო. სოფ. ზვარეს ეკკლესიის ნივთები მათ სულ მიწაში დაუმარხავთო.

აჭარა და ნამეტურ მერისის ხეობა თუმც გაწყდა სჯულის გამო ბრძოლაში, მაგრამ შემდეგ ისევ გამრავლდნენ, რადგანაც გურიიდგან აქ ძლიერ ბევრი გლეხ-კაცობა მორბოდა, თათრდებოდა და სახლდებოდა, რადგანაც საქართველოში მებატონეები ძლიერ აწუხებდნენ თავიანთს ყმებს. აგარელებს ხელობათ ჰქონდათ მიღებული, საქართველოში სიარული და გოგო-ბიჭების სყიდვა. ესენი დადიოდნენ გურიაში, ქართლში, იმერეთში და სხვაგან ქართველთ თავად-აზნაურებისაგან ყიდულობდნენ დიდ-ძალ გოგო-ბიჭებს, ამათ მოერეკებოდნენ აქ, ყველას ათათრებნენ, ზოგს აქვე ასახლებდნენ და მით ამრავლებდნენ თათრებს და ზოგიც მიჰყავდათ ტრაპიზონს, სტამბოლს, თურქესტანს და იქაურს დიდრონ ფაშებზედ ქართველ ყმაწვილებს ერთობ კაი ფასად ჰყიდდნენ, რადგანაც ესენი უფრო ლამაზ გოგო-ბიჭებით ვაჭრობდნენ საქართველოში.

მერისის ხეობის სოფლებს ერთი დიდი ეკკლესია ჰქონიათ. ეს ეკკლესია სოფ. მერისში ყოფილა გაკეთებული, ხალხის გათათრების შემდეგ ოსმალებს ეს ეკკლესია ერთიან მალე დაუქცევიათ საძირკველამდის, რადგანაც ქართველებზე ერთობ გაჯავრებულნი ყოფილან ვაი, თუ მერისის ხეობის სხვა სოფლებმაც გვიმტყუნონ და გვეჩხუბონ ისე, როგორც მერისელები შეგვებნენო. მერისის ეკკლესიის ნანგრევებს ხალხი თურმე ახლოს ეკარებოდა. უკანასკნელს ხანებში-კი ეს ქვებიც გაუზიდგამოუზიდნიათ აქეთ-იქით. ერთი წამლებთაგანი ავათ გახდა და მოკვდაო. ასეთ ამბებს მერისელი მოხუცნი ხშირად ლაპარაკობენ და თან დასძენენ.

— ალბათ ცოდვა ყოფილა ეკკლესიიდგან ქვების წაღება. აქაური ეკკლესიები სულ ჩვენი ძველების გაკეთებულია. ადრე მერისში ერთ ალაგას მიწის თხრის დროს „ხაჩი“ იპოვნესო, ე. ი. ჯვარი. ჩვენდა საკვირველად მერისის ხეობაში და მთლად მთელს ქართველ-მაჰმადიანებში ჯვარს „ხაჩს“ უწოდებენ. ეს წოდება სომხურია! ქართულად ჯვარს ნიშნავს. მე აქაიქ ვკითხე, თუ ხაჩს რად ახსენებთ, რატომ ქართულად არ უწოდებთმეთქი მათ მკითხეს.

— ქართულათ რა ჰქვიან ხაჩს? მე მივუგე:

— ჯვარი. ხაჩ სომხურია. მათ მითხრეს:

— ჩვენი ძველებიც ასე უწოდებდნენ, ოსმალურადაც ასე უწოდებენო. ალბად ოსმალთაგან შემოსულა ეს სახელი და ქართული დაკარგულაო. ყველგან ეკკლესიას „ქლესიას“ უწოდებენ. წინად ჩვენში ბავშვები რომ ავად გაუხდებოდათ და შეუწუხდებოდათ, ავადმყოფებს ძველს ნაეკკლესიარებში მიიყვანდნენ და ალოცებდნენო, აქ ლოცვა წამლათ მიაჩნდათო. ამის ნაცვლად მოლებმა და ხოჯებმა შემოიღეს ავად-მყოფის გვერდით „ყურანის“ კითხვაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## სენატორის ლენტულას წერილი.

მაცხოვრის სახის გადმოღებისა გამო ერთის უძველესის ბეჭდის ზურმუხტიდგან ჟურნალი „პეტერბურგი“ ასე აგვიწერს მაცხოვრის ხატებას იმ ძველის ხელთ-ნაწერიდგან, რომელიც ლორდის ბელლის წიგნთ-საცავში იმყოფება და რომელიც რომაელ პუბლი ლენტულას ნამდვილ წერილის კოპიოა.

რომის კეისარის ტიბერის დროს ყველა უფროსები, რომის ხელქვეით ქვეყნების მმართველები, მოვალენი იყვნენ ეცნობებინათ რომის სენატისათვის ყველაფერი, რაც-კი რამ შესანიშნავი და საყურადღებო მოხდებოდა მათს მხარეში. ერთმა მათგანმა, ურიასტანის მმართველმა სენატორმა ლენტულამ რომის სენატს შემდეგი ამბავი აცნობა ჩვენის მაცხოვრის შესახებ:

„დიდს და პატივცემულს რომის სენატს ურიასტანის მმართველის სენატორის ლენტულასაგან.

„ჩვენს დროში გამოჩნდა და დღესაც არის კაცი შესანიშნავი ქველმომქმედი, რომელსაცა ეწოდების იესო ქრისტე. ხალხი მას ჭეშმარიტების მახარობლად სთვლის, ხოლო მოწაფენი მისნი ძედ ღვთისად აღიარებენ. იგი ერთის სიტყვით აღადგენს მკვდრეთით და ჰკურნავს ყოველგვარ სენს. კაცი ესე ტანით ახოვანია და ვისაც-კი შეჰხედავს, მას მაშინვე პატივისცემასა და შიშს უნერგავს გულში. იგია შესანიშნავად მოყვანილის ტანისა, თმები მწიფე წაბლის ფერი აქვს, ყურებამდის მწყობრად დალაგებული, ხოლო მას ქვეით დახუჭუჭებული და უფრო ქერა, რომლებიც მხრებზედ გადმოჰკიდებია; თმა ნაზარეველთა ჩვეულებისამებრ ორად აქვს გაყოფილი, შუბლი აქვს ფართო და სუფთა, პირის სახეც აგრეთივე, რომელზედაც არ მოიპოვება არც ერთი ლაქა, არც ერთი ნაოჭი და მცირედ წითელი ფერი დაჰკრავს; ცხვირი და პირი ძალიან სწორედ აქვს გაწყობილი, წვერიც ისეთისავე ფერისა, როგორიც თმა, ხოლო უფრო სქელი და მცირედ ორად გაყოფილი. გამომეტყველება მშვიდობიანი და სათნოიანი აქვს, — ისეთი, როგორიც-კი შეჰფერის ყოვლად უნაკლულო კაცს, თვალები ცის ფერი, მეტად ცოცხალი და გამმჭვალი. სასტიკია იგი მხილების დროს, ხოლო კეთილი და წყნარი დარიგების დროს და ღირსეული და სასიამოვნო სწავლების დროს. არავის თითქმის არ უნახავს იგი მოცინარი, მაგრამ სამაგიეროდ ბევრს უნახავს იგი მტირალი; ხელები შესანიშნავად სასიამოვნო აქვს, ლაპარაკი არ უყვარს ბევრი,

---

ბა, მაგრამ თავს შეიმაგრებს) ალმას შესახებ ვილაპარაკოთ. რა სთქვა, დაგაკმაყოფილებთო?

ხეინეკე. რასაკვირველია, სრულიად და სავსებითაო.

რობერტი. (წყნარად, თითქოს უხერხულობასა ჰგრძნობს რასმეო) მაშასადამე... ჯვარს იწერს?

ხეინეკე. ვინ იწერს ჯვარსა?

რობერტი. ვინა-და, იმისი შვილი ჩვენს...

ხეინეკე. გაგიჟებულხარ სწორედ.

რობერტი. (წამოხტება და შეშინებით იკითხავს) მაშ როგორაო?

ხეინეკე. (ცბიერად, ნელის ხმით, ყურთან ჩასძახს) ისეო, რომ ათას ორასი თუმანიო. (ხმა მაღლა) როგორია, კეთილშობილად არ მოიქცა?

რობერტი. (საშინლად შეჰყვირებს) ფული?!.

დედა. (შეშინებულის ხმით) ღმერთო, განა არა, გული რაღასაც ამომკვნესოდა.

რობერტი. ფული?!.

ხეინეკე. რასაკვირველია, აი აქ არა მაქვს, სულ ერთია, თუნდა ნაღდი გქონია, თუნდა ესა.

რობერტი. როგორ?! და შენ გამოართვი?!

ხეინეკე. (გაოცებულია) მაშ რა უნდა მექნა?

რობერტი. ფული შემოგაძლია და შენც გამოართვი? (გონება-დაბნეული დაემგვრება).

მიხალსკი. (იმათ შუა ჩადგება) მე შენ გირჩევ, ამ მოხუცს თავი დაანებო.

რობერტი. (გაშორდება და მიხალსკის ყურადღებას არ აქცევს) დედაჩემო, როგორ გამოართვით?!

დედა. ჩვენ ღარიბნი ხალხნი ვართ, შვილო (რობერტი მწარე სიცილით დაეცემა სკამზედ. მიხალსკი და ავგუსტა ხეინეკეს ახლო ფაციფუცობენ, ალმა გულს ხელ დაკრეფილი ჰზის სავარძელზედ და ჩაიცინებს).

დედა. უფალო შემიწყალე, მგონი ჭკუიდგან იშლება. (ხელს დაადებს მხარზედ) შენის მოხუცის დედისაგან აიღე, შვილო, მაგალითი. კარზედ მომდგარს ბედს წიხლს არა ჰკრავენ. ამაყსა და გულ-ზვავს ღმერთი არასოდეს არ დაეხმარება.

რობერტი. ეგ კიდევ ისე ცუდი არ არის, დედაჩემო... ისა სჯობია თხრილში ამომივიდეს სადმე სული... თივაზედ... დიე, ძაღლსავით ამოვიღრძო, ოღონდ-კი ფული უკანვე დაუბრუნეთ!.. აი, შემომხედეთ, დინჯად ვილაპარაკებ, დალაგებით, თითებზედ ჩამოგითვლით, როგორც უნდა მოვიქცეთ. იმათ გაგვაუპატიურეს... ძალიან კარგი... მაგრამ ჩვენი რა ბრალია... ჩვენ არავის წინაშე არ შეგვრცხვებოდა... შეიძლება ადამიანს პატიოსნება მოჰპარონ ქისასავით და იგი ამის წინააღმდეგ ვერაფერს იზამს, უძლურია. მაგრამ როდესაც ჩვენ ჩვენს უკანასკნელს პატიოსნებასა ვყიდით... ნაღდ ფულად... მაშინ ჩვენ თითონვე უპატიოსნონი ვართ, და ყოველთვისაც ასეთნი ვყოფილვართ... ღირსნიცა ვართ. (ხეინეკე მიხალსკისაკენ მიბრუნდება და ის თითს შუბლზედ მიიდებს, ვითომ-და ჭკუაზედ თხლად არისო). განა არ მესმის, ყველაფერს კარგადა ვხედავ... არც გისაყვედურებთ, არა, ღმერთს გეფიცებით. თქვენ ისეთი ცხოვრება გქონდათ, ისე შეალიეთ თქვენი სიცოცხლე ლუკმა-პურის უკან დევნას, რომ ასეთმა ყოფამ ადამიანის ღირსების ფასი სრულიად დაგავიწყდათ, გონება მოგიკლათ და დაგიხშოთ და ამიტომ ოქრომ თვალები ადვილად აგიხვიათ... მაგრამ, მერწმუნეთ, ეგ ოქრო სიკეთესა და ბედნიერებას არ მოგიტანთ. პირიქით, თქვენსავე თავს შეგაძულებთ და შეგაზიზღებთ.

დედა. ამის ლაპარაკს რომ ყური დაუგდოს ადამიანმა, თავით ფეხამდე ცივს ოფლს დაასხამს.

ხეინეკე. მაშ ეგრე რაღა, შვილო.

რობერტი. არ გეგონოთ იზარალოთ რამე, მე რომ გამიგონოთ. აბა შემომხედეთ, ხომ უნდა მესწავლა რამე, არა! ეს ჯან-საღი, მაგარი მკლავები ხომ ჩემია. ჯერ ხომ სრულიად ძირს დაცემული და გათახსირებული არა ვარ?! მაშ ნუ თუ თქვენს დანარჩენს სიცოცხლეს მე ვერ მომანდობთ არხეინად? გამიგონეთ, მე ხომ მხოლოდ თქვენთვის მინდა ვიშრომო და ვიმუშაო... მინდა გაგამდიდროთ... უზრუნველი გაგხადოთ... როგორც გენებოთ, შეგიძლიანთ ისე მომექცეთ... თქვენი ერთგული მონა ვიქნები... ყმასავით გემსახურებით, ოღონდ-კი ფული უკანვე დაუბრუნეთ.

ხეინეკე. ყველაფერს მშვენიერს ამბობ, მაგრამ დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელს...

მიხალსკი. ჭეშმარიტებას ამბობ!

ხეინეკე. ჭეშმარიტად, რომ ასეა... მაშ ასე, ჩემო შვილო, შენ ხვალინდელს ქათამს გამოუდექი და მე, დიე, კვერცხის სინამარას დავრჩე... აი, ეხლავე წავალ და ამ კვერცხს ნაღდ ფულად გადავაქცევ.

მიხალსკი. ყოჩაღ, ყოჩაღ, აგრე უნდა.

რობერტი. შენა, დედაჩემო? (დედა კრინტს არ დასძრავს და პირს მოიბრუნებს). შენც მაგ აზრისა ხარ? ღმერთო, ეხლა რაღა ვქნა?! ალმა, ეს ამბავი ხომ სულ შენ გამოა ატეხილი... ყველაფერს შეგისრულებ, რასაც-კი მთხოვ, მხოლოდ ეხლა დამეხმარე. (ხელს წაავლებს, ალმა უმაგრდება, მაგრამ მაინც შუა სცენაზედ გამოიყვანს).

ალმა. (ურჩად) თავი დამანებე.

ავგუსტა. ისე ეჭიდება, რომ მკლავს მოსტეხავს.

ალმა. მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა. (გაუსხლტება).

რობერტი. დაო!

ალმა. მასკარადში-კი მაინც წავალ. აი, დედასა ჰკითხე.

რობერტი. დედაჩემო, რას ამბობს?

დედა. რა არის, რატომ არ უნდა მივცეთ საბრალო ბავშვს ამ უბრალო სიამოვნების ნება.

რობერტი. (სრულიად სასოწარკვეთილი) აი, სადამდის მივაღწიეთ.

მიხალსკი. (სავარძელზედ დაჯდება და დაცინვით გაამეორებს) აი, სადამდის მივაღწიეთ.

რობერტი. ოჰ, შე უმაქნისო! შორს მაგ ადგილიდგან! (მიხალსკი არ იძვრის. რობერტი სავარძელს წასწვდება). შორს-მეთქი, გეუბნები! გარეთ გაეთრიე! ორივენი, ორივენი წაეთრიენით!

მიხალსკი. (იმისაკენ მიიწევს) კარგია, თორემ ბევრსაც არ მოგითმენ.

რობერტი. (სავარძელს არ უშვებს) დამუქრებაც აცა ჰბედავ?!

დედა. (შუაში ჩადგება და რობერტს) რას ჰშვრები, სავარძელს გამიტეხავ!

რობერტი. იქნება აგრე ძვირფასად იმიტომ აფასებ, დედაჩემო, რომ ბატონის სახლიდგან არის გამოტანილი?

დედა. რასაკვირველია.

რობერტი. კურტის ნათავაზებია განა?

დედა. ჰო, იმისაგან არის სწორედ.

რობერტი. (გამძვინვარებით გაიცინებს) აი თქვენი სავარძელი. (დაარტყამს სავარძელს დედამიწაზედ, დაამტვრევს და ნამტვრევებს მიუყრის).

მაგრამ რასაც იტყვის, საფუძვლიანად და სარწმუნოდ. ერთი სიტყვით, თავისის სილამაზით იგი ძეთა კაცისათა შორის ყველაზედ შესანიშნავია და მისი ჭეშმარიტება ცხადზედ უცხადესი.“

მაცხოვრის სახე კეისარის ბრძანებით იყო ამოჭრილი ზურმუხტზედ; შემდეგში ეს ზურმუხტი ოსმალეთის სულთანმა პაპს ინოკენტი VII წარუგზავნა თავისის ძმის გამოსასყიდველად, რომელიც ქრისტეანეთ წაიყვანეს ტყვეთ.

## გრაფი ზიჩი თ.-თ. ციციშვილებში.

უნგრეთის საარხეოლოგო კომისია, რომლის თავმჯდომარეთ უნგრეთის არისტოკრატი და დიდი შეძლებული გრაფი ზიჩი არის არჩეული, ჩამოვიდა, როგორც მოვიხსენიეთ ამას წინად, კავკასიაში, იმ აზრით, რომ ძველი უნგრეთის ხალხის თაობაზედ რაიმე ნაშთნი იპოვოს.

სხვათა შორის, როდესაც გრაფს გაუგონია, რომ ქართლში ცხოვრობენ თავადნი ციციშვილები და ეს გვარი თავისს გვართან შეუდარებია, მოუსურვებია მათი ნახვა და გაცნობა. მთელი კომისია გამგზავრებულა და მისულა თავადნი ციციშვილებში. რასაკვირველია, ქართველურის პურ-მარილით, დარბაისლობით და სტუმართ-მოყვარეობით მიჰგებებიან ამ კომისიას მთელი გვარეულობა ციციშვილთა. გრაფი ზიჩი ისეთ აღტაცებაში მოვიდა დიდებულ მასპინძლობით და ძველებურის მოლხენითა და დროს გატარებით, რომ სამაგიეროდ მიიწვია მთელი გვარი უნგრეთში მომავალ არხეოლოგების კრებაზედ, თავისის ხარჯით.

ერთი რამ ძალიან ეუცხოვათ უნგრელებს: მათ თან წაეყვანათ თარჯიმანები, მაგრამ ესენი სრულიად აღარ დასჭირებიათ, რადგან რამოდენიმე მანდილოსანი, ქართულად ჩაცმული, კარგის ფრანგულის ენით მოლაპარაკე ყოფილა თვით თავად ციციშვილებში.

გრაფი თითქმის გამონათესავებია; „თქვენ უსათუოდ უნგრელები უნდა იყოთო, ან მე ქართველი ვყოფილვარ ოდესმეო. უსათუოდ უნდა მეწვიოთ ჩემს სამშობლოში და ვეცდები მაგიერი პატივისცემა იქ გადაგიხადოთო“.

## რუსეთის ცხოვრება.

—

წელს სამხედრო ბეგარის აღსრულებისათვის მთელს რუსეთის იმპერიაში გამოყვანილ იქნება 277,400 კაცი. ყველაზედ მეტის გამოყვანა ჰხვდა კიევის გუბერნიას (9372 კაცი), ტამბოვისას (8136 კ.), ვიატკისას (8045 კაცი) და სხვა.

—

სასჯულო საქმეთა სამინისტროს მოუთხოვია 30 ათასი მანეთი კრედიტი მომავალ წლისათვის შესანახად იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს სასამართლოს კანონმდებლობის განხილვა და ცვლილებათა პროექტის შედგენა.

დღემდის ამ კომისიამ განიხილა მხოლოდ ძირითადი აზრები ახალის კანონმდებლობისა; შემოდგომიდგან კომისია შეუდგება დაწვრილებით განხილვას ახალის პროექტისას. „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, განზრახულია შემოდგომისთვის პროვინციალური სასამართლოს მოხელენიც მიიწვიონ კომისიაში სამუშაოდ, როგორც ადგილობრივ ცხოვრების მცოდნენი და მასთანავე გამოცდილნიც.

—

მომავალს ზამთარს მოწვეულ იქნება დამზღვეველ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. კრებას საგნად ექნება დასწოოს დაზღვევის პრემია, რომელიც მეტად დიდია რუსეთში.

## დარჩობისაგან მხსნელი ჩემოდანი.

ამ ბოლო დროს პეტერბურგში, მდ. ნევაზედ, რამდენჯერმე სცდეს დარჩობისაგან მხსნელი სხვა-და-სხვა საშუალებანი. ყველა მათ საფუძვლად უდევთ ის ფიზიკური კანონი, რომ წყალში სხვა-და-სხვა სხეული არ იძირება (ერთს შემთხვევაში ხმარობენ გუდაპერჩის ბურთს, ხოლო მეორეში რეზინის ტომარას). თუმცა ხსენებული საშუალებანი პრინციპიალურად სერიოზულის ყურადღების ღირსნი არიან, მაგრამ ძალიან საეჭვოკია, რომ მათ ნამდვილი დახმარება გაუწიონ გაჭირვების დროს კაცს, რადგანაც ამისათვის საჭიროა იცოდეს კაცმა, როგორ უნდა იხმაროს იგინი. ასეთმავე ცდამ გერმანიაში უკეთესი ნაყოფი მოიტანა. გერმანელმა გამომგონებელმა ასეთ საშუალებათ სცნო სამგზავრო ჩემოდანი, რომელიც განუშორებელია ყველასათვის; კარგი კიდევ იმათია ჩემოდანი, რომ ადამიანს ასეთ გაჭირვების დროს შეუძლიან გადაარჩინოს თავისთან ერთად ზოგიერთი საჭირო ნივთები.

ჩემოდანი ასე უნდა იყოს მოწყობილი. ჩემოდანის თავი და თვით ძირიც ამოჭრილია რგვლად იმდენზედ, რომ კაცს შეუძლიან გაძვრეს შიგ მკლავებამდის. უმისოდ ეს ამოჭრილი ადგილი დახურულია ორის ადვილად გამოსაწევ ლითონის ფიცრით. ამ რიგად ერთის შეხედვით ჩემოდანი არაფრით განირჩევა ჩვეულებრივისაგან. გაჭირვების დროს ფიცრები უნდა გამოსძვრეს და მათ ადგილას საკმაოდ კარგად მიმაგრდეს გუდაპერჩის ბურთი, ისე რომ წყალი არ შევიდეს ჩემოდანში; ამის შემდეგ საჭიროა მხოლოდ მკლავებამდის გაძვრეს ადამიანი ჩემოდანში და იგი სრულიად უზრუნველ-ყოფილია დარჩობისაგან. ეს საშუალება თვით გამომგონებელმა, გერმანელმა მუშამ, მრავალჯერ სცადა რამდენიმე თვის განმავლობაში მდინ. ელბაზედ, და საუკეთესო საშუალებადაც იქმნა ცნობილი. ჩემოდანის წყალში ჩაშვება რამდენჯერმე მაღალ ადგილიდგანაცა სცადა მუშამ და ხუთის ადლის სიმაღლიდგან ჩაშვების დროსაც-კი არ ჩაიძირა ჩემოდანი.

# უცხოეთი

—

**გერმანია.** გერმანული გაზეთები უკმაყოფილონი არიან რუსეთისა, რადგანაც რუსეთის მთავრობამ არ მისცა ნება რუსეთში მცხოვრებ გერმანელთ სედანის ბრძოლის მოსაგონებელის დღის დღესასწაულობისა. ამ დღის დღესასწაულობა, სხვათა შორის, ოდესის გერმანელთაც განეზრახათ, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღუკრძალა. საფრანგეთის გაზეთები ამის გამო მადლობას უცხადებენ რუსეთის მთავრობას.

—

**ჩერნოგორია.** ანტივარს ამ დღეებში მოსულა კრონშტადტიდგან რუსეთის გემი «როსტოვი», რომელსაც ჩაუტანია 30 ათასი თოფი, 15 მილიონი გასროლა ტყვია წამალი, ზარბაზნები, დინამიტი და მრავალი სხვა სამხედრო მასალა. ყოველივე ეს ჩერნოგორიას მოუვიდა საჩუქრად რუსეთიდგან.

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ბ-ნს კრინკას მეტად სასარგებლო და პრაქტიკული რამ გამოუგონია; მას გაუყვანია რკინის გზის ლიანდაგი მეტად სუბუქის რელსებით, რომელზედაც საზოგადოება ასეთსავე სუბუქს ვაგონში გამოფენის ერთის თავიდგან ბოლომდე გადის და გამოდის. გამოფენაზედ მომქმედი ვაგონი იტევს 16 კაცს, ამოძრავებს მას ორი მოსამსახურე, რომლებისთვისაც ცალკე საჯდომი ადგილია გამართული ვაგონში და ფეხით ამუშავებენ ვაგონს იმავე სისწრაფით, როგორითაც ქუჩის მატარებელი და ტრამვაის ვაგონები დადიან.

—

უფროსი რედაქტორი „ტაიმს“-ისა, ბეკლი მღვდლის შვილია; 41 წლისა არის და რედაქციაში მუშაობს 1880 წლიდგან. თვით ბეკლი არასა სწერს, მხოლოდ თანამშრომლებს წერილების საგანს უნიშნავს და შემდეგ თვალ-ყურს ადევნებს. რედაქტორის თანაშემწენი — გაპერი და მონეიპენი — შოტლანდიელები არიან და სწავლა ედინბურგის უნივერსიტეტში აქვთ დასრულებული. არც თანაშემწენი სწერენ გაზეთისათვის; მათი საქმეა: ევროპის პრესისთვის თვალყურის დევნება. მოწინავე წერილებს სწერენ კილსონი, ფლანიგანი და როსი. ამათ გარდა „ტაიმს“ში მრავალი სპეციალისტი მუშაობს. მაგალითად, ჩასტორი გოდნე ეკლესიის შესახებ სწერს, ჯემს ტურსფელდი კრიტიკასა, ჯონ მაკდონალდი იერიდიულ წერილებსა. გარეშე პოლიტიკის შესახებ სწერს გამოჩენილი პუბლიცისტი მაკენზი უოლესი. გაზეთის ნივთიერ მხარის გამგებელი არის ბელლი, რომელმაც ენერგიულად გადაარჩინა რამდენჯერმე გაზეთი კრიზისისაგან. ახლა თუმცა საგაზეთო საქმეებში კრიზისია, მაგრამ „ტაიმს“-ს მაინც აუარებელი განცხადება აქვს საბეჭდათ. უფროსს რედაქტორს „ტაიმს“-ისას წლიწადში ეძლევა 30 ათასი მანეთი, მეთაურების მწერლებს ხუთი ათას მანეთიდგან თორმეტ ათასამდე.

მეორე ფრიად გავრცელებული გაზეთი ინგლისში არის «დეილი ტელეგრაფ». 40 წლის წინად ეს გაზეთი შეიძინეს ლევიმ და ლაუზონმა 5000 მანეთად;

---

დედა. (ტირილით) თვალები დამიდგეს, რა სავარძელი გატეხა, რა მშვენიერი სავარძელი! (დაიჩოქებს, ნამტვრევებს აჭგროვებს, მიიტანს, მარცხნივ დააწყობს და თითონ სკამზედ ჩამოჯდება).

ხეინეკე. ეგ-კი მეტის-მეტია. (მარჯვნივ გასვლას აპირებს).

რობერტი. (გზას გადაუღობავს) აძლევ თუ არა უკანვე იმ ფულს, რომელიც ქალის ნამუსში მიიღე?! ჰო თუ არა?

ხეინეკე. უკან დაბრუნება ფიქრადაც არ მომსვლია.

რობერტი. რაკი აგრეა, ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია, მამაჩემო; ჩვენ შორისაც, დედავ. მაშ, სჩანს, უნამუსობა, უპატიოსნება ადამიანს ისევე დაჰყვება ხოლმე დაბადებიდგან, როგორც ხალი. ძალიან კარგი... არა, თუ მაინცა და მაინც უნდა გავჩენილიყავ ამ ქვეყნად, რატომ იმავე ჰუჟყსა და მწვირეში არ დამტოვეთ, რომელშიაც დავიბადე... და რომელშიაც მთელს ჩემს სიცოცხლეს გავატარებდი, სწორედ ისე, როგორც ჩემს პატივცემულს ოჯახსა ჰსურს.

ავგუსტა. ხომ ჰხედავ, დედაჩემო, რეებს ამბობს შენი საყვარელი შვილი?!

რობერტი. არა, დედაჩემო, ყურს ნუ მათხოვებ. (დაიჩოქებს იმას წინ) არაფერი, არაფერი არა მითქვამს-რა. და თუ ვსთქვი, ისე, მეც არ მესმის, რას ვამბობ. ასე მგონია, დღეს სამუდამოდ გამოვეთხოვე-მეთქი ყველას, რაც-კი ადამიანურია და გონიერი. შემიბრალე, დედაჩემო! შენ ჯერ კიდევ შეგიძლიან მეც გადამარჩინო ამ განსაცდელს და შენი თავიც. წავიდეთ, განვშორდეთ აქაურობას.

დედა. (ბზუკუნს დაიწყებს) რა გინდა, რა ვქნა, რას გაათრებულხარ, სარკესაც ხომ არა უპირებ ჩამტვრევას?

რობერტი. (გონება-დაფანტვით შეჰხედავს სარკეს და ფეხზედ წამოდგება) ჩვენ სხვა-და-სხვა ენაზედ ვლაპარაკობთ და ერთმანეთისა არ გვესმისრა.

მიხალსკი. (რომელიც აქამდე ჩუმად ელაპარაკებოდა ხეინეკეს, რობერტს მხარში წაავლებს ხელს) მაგდენი თავს გაივლა და აურზაურიც გეყოფა. აბა ეხლა გაეთრიე აქედგან.

რობერტი. (ხელსა ჰკრავს) შორს ჩემგან! (შეჰხედავს დედ-მამასა და დებს, რომელნიც გაბოროტებულნი და გულგამწყრალნი ეხვევიან გარს, და გადაისარხარებს) ჰო, მართლა, გაგდებას მპირებთ განა!

მიხალსკი. (კარებს უფრთამდის გააღებს) წადი, წადი, გაეთრიე აქედგან.

### XIII

იგინივე და ტრასტი (კარის ბჭეზედ შედგება).

ტრასტი. (მიხალსკის მხარზედ ხელს დაჰკრავს) გმადლობ აგრეთის გულლია და გულ-უხვ მასპინძლობისათვის.

რობერტი. (იცნობს ტრასტს, შეჰკივლებს და ხელებს მისკენ გაიწოდებს, თითქოს ახლოს არ უნდა მიიკაროსო) შენ აქ რა გინდა?!.. აქ ავაზაკთა ბუნაგია... იცი, ჩვენ ვინა ვართ?!.. ჩვენ ჩვენის ნამუსითა ვვაჭრობთ... ხა, ხა, ხა... აგრე ნუ შემომცქერი... მაგას-კი ვერ ავიტან... (მძიმედ ჰსუნთქავს და პირის სახეზედ ხელებს მიიფარებს. ტრასტის შეკლისათანავე აღმას შერცხვება და გაიქცევა. მიხალსკი და ავგუსტა საასზარეულოში მიპარებიან. ტრასტი იმათ თვალს არ აშორებს).

ტრასტი. გონებაზედ მოდი, რა მოხდა ისეთი?!

ხეინეკე. (ხელში ქუდი უჭირავს) უმართებულოდ იქცეოდა, თქვენო ბრწყინვალებავ. ჯერ ინდოეთში წასხმა დაგვიპირა, შემდეგ დაიჟინა, ფულის აღება არ გაბედოთო. მე ეხლა კანტორაში გიახლებით. კაკალი ათას ორასი თუმანი უნდა მივიღო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ (გადის).

### XIV

იგინივე, უხეინეკოდ.

ტრასტი. მესმის, მესმის, ეხლაკი გავიგე. (ხელს მხარზედ დაადებს რობერტს) მიულინგი იყო აქ ალბად?

რობერტი. მიულინგი?! ჰო, სწორედ იმისი ნახვაა ეხლა ჩემთვის საჭირო!

ტრასტი. რას აპირებ?

რობერტი. ანგარიშსა მთხოვენ და მიიღებენ კიდეც. (გაიქცევა სცენის სიღრმეში და გაფაცეცებით ურევს ჩემოდანს).

დედა. (ტირის) ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ოჯახი არა გყავთ... ოჰ, რა უმადურები არიან შვილები!

ტრასტი. (თავისთვის) დედის ბაგით მტკნარი სისულელე ჰლაღადებს... გრცხვენოდეს, ტრასტ, კარგს არ შვრები.

დედა. განა მართალი არ არის?

ტრასტი. (ორსავე ხელს მოსჭიდებს ხელზედ) დედა ყოველთვის მართალია. დედის დიდი ტანჯვა და ვაება გამოუვლია და მტყუანი არასოდეს არ იქნება.

დედა. თქვენო ბრწყინვალებავ, მე, უბრალო დედაკაცს, ხელს მაძლევთ.

ტრასტი. დიდი დამნაშავე ვარ დედების წინაშე და ცოდვა უნდა მოვინანიო... განსაკუთრებით დედიჩემის წინაშე. თქვენს შვილზედ უფრო უარესიც ბევრია. (რობერტი დასტა ქაღალდებს ამოიღებს და ცალკე დააწყობს. ეძებს კიდევ რაღასაც, დამბაჩას იპოვის და სინჯვას დაუწყებს).

ტრასტი. (თავისთვის) ოჰო, დამბაჩა ჰიღო!.. აი როგორ სდომებია ანგარიშის ჩაბარება.

რობერტი (შენიშნავს, რომ თვალყურს მადევნებენო, დამბაჩას სერთუკის ჯიბეში ჩაიდებს, ქაღალდებს იღლიაში ამოიჩრის და წინ წამოვა). ესეც ასე მეც მეც მზადა ვარ.

ტრასტი. მიგაცილებ.

რობერტი. შენა?

ტრასტი. განა ამისი უფლებაც არა მაქვს?

რობერტი. (შეუღუმანდება) კარგი, წავიდეთ.

დედა. (ნაზად წამოცრემლიანებული) რობერტ!

რობერტი. (სცდილობს თავი შეიმაგროს და არ აღელდეს) მე... მოვალ კიდევ... გამოგემშვიდობები... დედაჩემო. ეხლა უფრო დიდი საქმე მაქვს და უნდა მოვრჩე. (კარებისაკენ მიდის).

დედა. (მწუხარებით ხელებს დაუწყებს ფშვნეტას და ტრასტს ეტყვის) კურტი და, ეგა!.. უეჭველია უბედურება მოხდება რამე.

ტრასტი. (ნელის ხმით) სუუ, დაჩუმდით. აბა, მივდივართ?

რობერტი. (დედისაკენ მობრუნდება საშინლად აღელვებული და ნაზის, აკანკალებულის ხმით მიჰმართავს) თუ ვინიცობაა... ერთმანერთი ვეღარ..· (ტრასტს წავლებს ხელს) კარგი, წავიდეთ.

ფარდა.

(დასასრული მესამე მოქმედებისა)

ა. ახნაზაროვი

ამ მოკლე ხანში ლაუზონი მოკვდა და მემკვიდრეებს დაუტოვა 20 მილიონი მანეთი. ამ გაზეთს ჰბეჭდავს რვა მაშინა გოესი, რომლებიდგან თითო 70 ათასი მანეთი ღირს; ეს მაშინები საათში 192 ათასს ეგზემპლიარს გაზეთს ჰბეჭდვენ. მოწინავე წერილს, რომელიც 1500 სიტყვიდგან შესდგება, აწყობენ და გადითხავენ 13 წამში. „ტელეგრაფ“-ს საკუთარი ქაღალდის ფაბრიკა აქვს, ქაღალდისათვის საჭირო ბალახიც საკუთარს მამულში მოჰყავს რედაქციას. რედაქციაში დასხლოვებით ორმოცდა-ათი კაცი მუშაობს. გაზეთის რედაქტორად არის თვით გაზეთის პატრონი ლაუზონი. პოლიტიკურს წერილებს სწერს დრეილი, კრიტიკას—კურტნე; გაზეთის თანამშრომლად არის აგრეთვე სალა, ლონდონის გამოჩენილი ჟურნალისტი; ოც-და-ათი წელიწადია, სალა ყოველ კვირა 6 წერილს სტამბავს გაზეთში. სათეატრო რეცენზენტად გაზეთს ჰყავს ცნობილი და სასტიკი კრიტიკოსი კლემენტ სკოტი.

---

## შემოწირულება.

რედაქციამ მიიღო ვინმე მესხისაგან შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ შეკრებილი ორი მანეთი და ათი შაური, რომელიც უკვე გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ 54 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი შომახიასა დ. აბაშიდგან. ამ წერილში, სხვათა შორის, იგი ამბობს: „აბაშის საჯარო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ოთხის წლის წინად ამხანაგობამ გაჰმართა ორი წარმოდგენა: აბაშაში და სუჯუნაში: აბაშაში მე ვთაობდი და შემოსული 19 მან. 35 კაპ. მე მაქვს, ხოლო სუჯუნაში მოთავე იყო ბ-ნი ე—ვა და შემოსული ფული ჩემთვის არ გადმოუცაო“.

დიახ, სუჯუნაში მე ვთაობდი, როგორც ეს გამოცხადებულია ჩემ მიერ „ივერიის“ 1891 წლის № 174-ში (ს. სუჯუნა სენაკის მაზრა). ამ წარმოდგენიდგან შემოვიდა 37 მან. 50 კაპ. ეს მცირე შემოსავალი გასაკვირი არ არის, რადგან სუჯუნაში წარმოვადგინეთ იგივე პიესა („ბაიყუში“,) რომელიც სწორედ ერთის კვირის წინად აბაშაში ვითამაშეთ, ხოლო აბაშა და სუჯუნა ოთხის ვერსის მანძილზეა ერთმანეთიდგან, ასე რომ ორივე წარმოდგენას ერთი და იგივე საზოგადოება უნდა დასწრებოდა. ვინ არ იცის, რომ განმეორებულ პიესებზედ ხალხი ქალაქებშიც ნაკლებ დადის!

20 მან. დავეხარჯა სცენის მოწყობაში და მოთამაშეების გზის ფულად; 12 მან. 50 კაპ. მივეცით ერთს ღარიბს ქალიშვილს, რომელიც წარმოდგენაში გვეხმარებოდა და მაშინ ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში სწავლობდა. ამნაირად ჩემს ხელში დარჩა ხუთი მანეთი.

ამ წერილის დაგვიანების მიზეზი ის გახლდათ, რომ ქვემოთ ამისა ხელისმომწერნი, რომელთა მოწმობა საჭირო იყო, შორს იყვნენ ჩემგან; მაგალ. ერთი მათგანი სოხუმში მსახურებდა და მხოლოდ ეხლა ჩამოვიდა.

ზემოდ აღწერილს ვამოწმებთ საკუთარის ხელის მოწერით: მიხეილ ნადარეიშვილი, მიხეილ გვაზავა.

დარჩენილი ჩემს ხელში ხუთი მანეთი შემიძლია კანონიერის მოგებით გარდავსცე რომელსამე საქველ-მოქმედო საზოგადოებას, რადგან აბაშაში საჯარო წიგნთ-საცავი არ არსებობს. აგრეთვე ის 19 მ. 35 კ., რომელიც დარჩა აბაშაში გამართულ წარმოდგენიდგან, ჩემის აზრით, უნდა გარდაეცეს რომელსამე საქველ-მოქმედო საზოგადოებას. იმ ფულებზედ, რომელიც შომახიას ხელისმოწერით შეუგროვებია, მე არაფერს ვიტყვი, რადგან ხელის-მოწერაში არაფერი მონაწილეობა არ მიმიღია; მე მხოლოდ წარმოდგენებში ვიღებდი მონაწილეობას.

ვლადიმერ ბესარიონის ძე ელიავა.

დ. ახალ-სენაკი,

1895 წ., 22 აგვისტო.

—

გიგზავნით 37 მან. შეკრებილს კნეინა ო. ი. ვაჩნაძის თაოსნობით არტისტის ალექსი მესხიშვილის სასარგებლოდ და გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს და შემწეობა აღმოუჩინეს ჩვენს საყვარელს მსახიობს.

კ. დ. მესხმა, სშ. ჩითაევმა და ვლადისლავა ნევოდჩანსკისამ სამ-სამი მანეთი; ლ. ნევოდჩანსკიმ 2 მ. 50 კ., მ. დოლენჯოვმა და რაფაელ მჭედაძემ 2 მან., თავ. კრაპოტკინმა და კორნეტმა კაშკინმა ექვს ექვსი აბაზი; კნ. სალ. ა. ვაჩნაძისამ, ნინო აბაშიძისამ, კნეინა ო. ი. ვაჩნაძემ, თავ. კ. დ. ვაჩნაძემ, თავ. მხეიძემ, გ. ჩაჩიბაიამ, კორნეტმა იაკიმიძემ, კ. ს. გომელაურმა, ს. მ. გარდიევმა, თავ. ბ. ი. ვაჩნაძემ, ა. გ. დეკანოზიშვილმა, მარიამულმა, პ. კ. მიხაილოვმა, მ. მ. შერგილოვმა, ს. მ. ალადათოვმა, ი. ა. განჟუმოვმა, ა. ს. ცანდოვმა—თითო მანეთი; ა. ე. ნახიმოვმა, მ. ყაყაჩოვმა, №№ და მხითარიანცმა ათ-ათი შაური; №№ ორი აბაზი და კიდევ №№ აბაზი, რაც შეადგენს 37 მ. და 50 კ. ფოსტის ფულის გამორიცხვით 37 მანეთს.

მ. ჭყონია.

ქ. პიატიგორსკი, 6 აგვისტო.

---

## დეპეშა

([illegible])

24 აგვისტო.

**ბერლინი.** მთავრობამ დაიჭირა ორი ნომერი სოციალისტთა გაზეთისა „ვორვარტ“, რომელშიაცა შეურაცხყოფილია ხელმწიფე. რედაქტორი დაპატიმრებულია.

**ვენა.** ჩვიდმეტი სომხის ავაზაკი თავს დაესხა კემახს, ოსმალოს სომხეთში პოდპოლკოვნიკს რეშიდს, რომელთაც მოჰკლეს სერჟანტი, დასჭრეს მხლებელი და წაიღეს სამი ათასი მანეთი. ავაზაკთა მდევრად გაგზავნეს ორი გუნდი ჯარისა, რომელთაც 4 ავაზაკი მოჰკლეს, 1 დასჭრეს და სამი დაიჭირეს. 2 ოფიცარი და 3 სალდათი დასჭრეს ავაზაკებმა.

**ლონდონი**, პარლამენტი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ პორტისაგან მოსული პასუხი შესახებ რეფორმებისა, რომელიც ურჩია სახელმწიფოებმა სომხეთისათვის, დასაკმაყოფილებელი არ არისო. გერმანიას, ავსტრი-უნგრეთს და იტალიას ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი შესახებ რეფორმების შეტანისა სომხეთში, მაგრამ საიმედოა, რომ ისინიც თანაუგრძნობენ რუსეთისა, საფრანგეთის და ინგლისის აზრს.

ის ხმა, ვითომ ხსენებული სახელმწიფონი შეერთებულის ძალით ზღვაზედ მოსთხოვენ პორტას დასთანხმდეს მათ წინადადებაზედ უსაფუძვლოა. დეპუტატმა ფაულერმა გაჰკიცხა მთავრობა ჩიტრალის დაჭერის გამო. პარლამენტი არ დაეთანხმა დეპუტატისაგან წარმოთქმულს აზრს.

---

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**ქართველს ოსებში.** არაკი „ქრისტეს ვეძებ“ და გაგონილი ამბავი ალექსანდრე ბატონიშვილზედ რედაქციას არ მიუღია. რაც შეეხება ბ-ნ თავართქილაძის მიერ თქვენის არაკის „ოქრომჭედელი“-ს თქვენდამი ნება-დაურთველად გამოცემას, მიჰმართეთ თვით თავართქილაძეს. რედაქცია პირად საქმეებში არ ერევა.

---

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის [illegible] აწერის-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

## წამალი ბუზებისათვის

ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა და ამხ.** მოსკოვში. ისყიდება **ყველგან და ყველა** დიდ ვაჭრებთან.

ყველაზედ იაფი, ნამდვილი, ფაქიზი და სრულიად უშიშარი საშუალება ბუზების წინააღმდეგ

(2—23—2).

---

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

## სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

---

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

## ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

## მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

## მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

---

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის დათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—1596—17).

---

## დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

—

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის ნაღდვილოდ დაზღ[illegible]ვა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible]ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)